№ 258
ოთხშაბათი, 29 ნოემბერი 1895

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 258
ოთხშაბათი, 29 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“
გამოვა 1896 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა ქართულ წიგნებით მოვაჭრეებთან 1896 წლის
ქართული
კედლის კალენდარი
შედგენილი
გრ. ჩარკვიანის-მიერ.
ფასი 40 კაპ.
გარეშე პირთ შეუძლიანთ მიჰმართონ ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიას და ს. მ. ლაზარევის სამწერლო ნივთეულობის მაღაზიას.
(5—3).

ქართული თეატრი.
ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, 1895 წ.
მეორე გასტროლი
ეფ. მესხისა.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“
დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
კ. ს. მესხის საბენეფისოდ
ქ-ნ ე. მესხისა და გ. კ. მესხის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა
მადამ სან-ჟენ
კომედია 4 მოქმ. სარდუსი და მოროსი.
თარგ. კ. მესხის-მიერ.
ამ პიესისათვის განსაკუთრებით შეკერილია ახალი მდიდრული ტანისამოსი, მოწყობილება გადმოღებული და გაკეთებულია პარისის თეატრის სურათებიდგან, ბუტაფორის რუდაკოვის-მიერ.
მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნ ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, ცაგარელი, ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად: „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ კომ. 5 მოქ. ვ. შექსპირისა, თარგმ. კ. მესხის-მიერ.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლი მოიწვევს თავად-აზნაურობას გუბერნიისასა, განსაკუთრებულ საგუბერნიო კრებაზე, რომელიც შესდგება ტფილისის თავად აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის სადგომში ჩვიდმეტს მომავალს დეკემბრისასა, ათს საათზე დილით, ამოსარჩევლად ორის დეპუტატისა, დასასწრებლად აწ მდგომიარე უწმინდესის გვირგვინოსნობისა მათის იმპერატორებით უდიდებულესობათა.
(3—6—1).

ქიზიყის დეჭოს
გამგეობას ჰსურს იყოლიოს ტფილისში და მოსკოვში სავაჭრო საქმეებში გამოცდილი კომისიონერები; მსურველს შეუძლიან თავისი პირობები წერილით გვამცნობოს ამ ადრესით: Сигнахъ. Квемо Мачхаани. Д. Надирадзе.
(3—2042—3).

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
კრებული
არითმეტიკულის ამოცანებისა და რიცხვითის მაგალითებისა.
მოსამზადებელი კურსი
შედგენილი
რ. ჯაჯანაშვილის მიერ
გამოცემა მესამე,
შეუცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდგან, რომელიც მოწონებულია სახელ-მძღვანელოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო რჩევისაგან.
ფასი ხუთი შაური.
10—6

ამითი ცხადდება, რომ წესდება კახეთის მევენახეთა საზოგადოებისა სახელწოდებით „კახეთი“, ჯეროვანის მთავრობის-მიერ დამტკიცებულ იქმნა 14 აგვისტოს ამა 1895 წ. და დადგენილის წესით კიდეც გამოცხადდა საჯაროდ. აღნიშნულ საზოგადოების წევრნი დამაარსებელნი და აგრეთვე კახეთის სხვა მევენახენიც მოწვეულ არიან 1895 წლ. 10 დეკემბრისათვის საღამოს 8 საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის შენობაში, რათა ხსენებული წესდება მოქმედებაში შევიდეს და საქმის ორგანიზაციაც დაწყებულ იქმნას.
(3—6—2).

კაბინეტი კბილის ექიმთა
ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—საღამოს 4—7 საათამდე.

ვკისრულობ
ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების ბანკებში დაგირავებას.
მსურველთ მოჰმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ტფილისი, 29 ნოემბერი.

ჩვენ ამას წინად*) მოკლედ აღვნიშნეთ ის საგნები, რომელიც წინ დაუდვია მისაღწევად „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირსა“ და ყოველივე ეს იმით გავათავეთ, რომ საჭიროა გავიგოთ, რა ღონისძიებით დაუპირებიათ ამ დიდის საქმის განხორციელება. ამის შესახებ პროექტი წესდებისა გვაუწყებს, რომ ღონისძიებას „კავშირისას“ შეადგენს საქმეში სატრიალებელი ფული და ზარალის მზღვევი თანხა.

საქმეში სატრიალებელი ფული უნდა შესდგესო ა) ერთხანად წევრთაგან შეტანილ ფულისაგან. აქ თვითეულ წევრზე, მისის შემოსავლის მიხედვით, დანიშნულია სხვა-და-სხვა ზომით შემოსატანი. ვისაც 500 მანეთზე ნაკლები წმინდა შემოსავალი აქვს, იმან უნდა შეიტანოს ხუთი მანეთი და ვისაც 500-ზე მეტი ერთი თუმანი და ვისაც 100 მანეთზე ნაკლები შემოსავალი აქვს, ის განთავისუფლებულია ერთხანად შესატანისაგან.

ბ) ყოველ წლივ შესატანის საწევრო ფულისაგან. აქ დანიშნულია წმინდა შემოსავლის კვალობაზე ასის თავზე ერთი.

გ) დაიაქისაგან, რომელსაც „კავშირი“ აიღებს მის შემწეობით გაყიდულ საქონლის კვალობაზე იმ ზომით, რომელიც დადგენილ იქმნება საზოგადო კრებისაგან.

დ) დაიაქისაგან, რომელსაც გადიხდიან მყიდველნი, თუ ამას საზოგადო კრება დაადგენს.

ე) იმ ფულისაგან, რომელიც „კავშირს“ შემოუვა საკუთარ საალებმიცემო საქმისაგან და იმ ჭინახულის გასყიდვისაგან, რომელსაც თვით „კავშირი“ მოიამაგებს, და

ვ) იმ სარგებლისაგან, რასაც მისდა კუთვნილი ფული შემოიტანს.

ზარალის მზღვევს თანხას ორი წყარო აქვს დანიშნული. ერთი ის, რომ რაც რამ ზემო დასახელებული ფული იქნება, იქიდამ ასის თავზე ერთი ამ თანხისთვის უნდა გადიდვას ყოველ წლივ და გარდა ამისა წმინდა მოგებისაგან ყოველ წლივვე წესდებაში დანიშნული წილი უნდა ეძლევოდეს.

ჩვენა გვგონია და არა—უსაბუთოდ გვგონია, რომ პირველ ორ მუხლში მოხსენებული სახსარი თავდაპირველი ღონეა, რომ „კავშირმა“ საქმე გაიმართოს და მოქმედება დაიწყოს; სხვა დანარჩენი შემოსავალი საგულვებელია მაშინ, როცა „კავშირის“ საქმე გაიწევს და ფეხს გასდგამს განზე, ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინოდ და მოიპოვებს საკმაონდობას.

მაშასადამე, გამოსაკვლევად ჰრჩება მარტო ხსენებული პირველი ორი მუხლი იმ მხრით, მისცემს თუ არა „კავშირს“ იმოდენა ღონისძიებას, რომ პირველშივე „კავშირი“ არ დაბრკოლდეს და მკვდრად დაბადებულს არ დაემზგავსოს. რა თქმა უნდა, იმ მრავალ საგნების გასაძღოლად, რომელიც „კავშირს“ განუზრახავს, დიდი ფულია საჭირო და ის ფული-კი, რომელსაც ხსენებული პირველი ორი მუხლი შემოატაინებს წევრთ წვეთი იქნება ზღვაში. ხოლო ჩვენ წინადაცა ვთქვით, რომ მხნე და გამრჯელი კაცი არ უნდა შეუშინდეს სიდიდეს საქმისას და, მაშასადამე, გაძღოლისასაც. განზრახული „კავშირისაგან“ საქმე იმოდენად მრავალ-შტოიანია, რომ შესაძლოა პირველ ხანებში მარტო ერთს რომელსამე შტოს შეუწონოს „კავშირმა“ თავისი შეძლება, იგი ამოქმედოს და მერე შეძლების გაძლიერების მიხედვით, თანდათან და თვითო-თვითოდ სხვა შტოებსაც მოჰკიდოს ხელი.

საფიქრებელი ეს არის, რომ ამისთანა საქმეში თანდათანობასაც თავისი საზღვარი აქვს. ეს საზღვარი დამოკიდებულია იმ საგანზე, რომელიც პირველ ხანშივე საჭიროა ამოქმედდეს, რომ „კავშირმა“ პირველშივე თავი იჩინოს თავისის აგებულებითა, გამჭრიახობითა და სიმარჯვითა და ამით ნდობა მოიპოვოს. თუ ამისთანა საქმეს ნდობა არ დაედვა ქვაკუთხედ, ყოველივე მეცადინეობა უქმია და გზა-გაუტანელი. თუ ამ თვალით ამოირჩევა პირველ ხანის სამოქმედო საგანი, მაშინ თვით საგნის სიგძე-სიგანე გვანიშნებს—რაოდენი ღონეა საფიქრებელი, რაოდენი შეძლება უნდა მზად იყოს, რომ არჩეულს საგანს გასწვდეს უკლებლივ. ეს ერთი მხარეა საქმისა, რომელიც სახარჯავს თხოულობს და აქ იქნება მეტ-ნაკლებობას საჭირო ფულისას და შეძლებისას როგორმე მოევლებოდეს. ეს თვით „კავშირის“ მოთავეთათვის მიგვინდვია.

ხოლო ამ საქმეს აქვს მეორე მხარეცა, რომელსაც არა გზით არ არ ეღალატება და რომელიც პირველ ხანშივე მთელს თავისს სამზღვრებში სავსებით უნდა დატეულ იქმნას და, მაშასადამე, უკლებლივ და სავსებით სახარჯოც უნდა საგულვებელ იყოს. ეს ხარჯი ჯამაგირებია და გასამრჯელო იმ კაცთათვის, რომელნიც მოწვეულ უნდა იქმნან პირველშივე საქმის ფეხთა ადგმისათვის, საქმის დაწყება-აგებისათვის. ცოტა იქნება პირველში სამუშაო, თუ ბევრი—ამაზე-კი არ უნდა იყოს დამოკიდებული რიცხვი საჭირო კაცთა, არამედ იმაზე, რომ საქმე სამერმისოდაც პირველშივე მკვიდრად დალაგდეს, ძირი მაგრად გაუკეთდეს, სათავე განზრახულს ბოლოს პირველშივე შეუფერონ, დღევანდელი დღედღევანდელი საგანი ხვალის მშობლად გაჰხადონ და საქმე თანდათან მატებაში შეიყვანონ და მატების გზაზე დააყენონ.

აქ ყოველივე ხელ-ნაკლებობა ხარჯისა მომაკვდინებელი შეცდომაა. საჭირო კაცთა სავსებით მოწვევისათვის „კავშირმა“ არ უნდა დაზოგოს-რა პირველშივე, თუნდაც ხელთათვის საქმე არა იყოს-რა ჯერ, იმიტომ რომ თავი და თავი საჭიროება საქმის აგებაა, მისი დალაგებაა სამოქმედოდ, რადგანაც მარტო ეს აგება და დალაგება გამოიწვევს იმ ნდობას, ურომლისოდაც „კავშირი“ და სხვა ყოველი ამისთანა ერთს ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს, ერთს წუთსაც ვერ იხეირებს. ამ კაცთა მოწვევას და საქმეში ჩაბმას კარგა ბლომა ხარჯი მოუნდება.

იქნება ვიფიქროთ, რომ აქაც თანდათანობა სამსახურს გაგვიწევდეს და იმას დავებჯინოთ, რომ, საქმეთა მატების მიხედვით, კაცებსაც მოვიმატებთო. რასაკვირველია, ზოგში იქნება ესეც მოსახერხებელი იყოს, მაგრამ უფროს ერთში-კი მაგით ფონს ვერ გავალთ იმისთანა საქმეში, რომელიც „კავშირს“ განუზრახავს. ბევრი კაცია საჭირო პირველშივე. სათავის გაჭრა და გამაგრება იმოდენა ზღვა-საქმისათვის, როგორიც „კავშირის“ საქმეა, სახუმარი არ არის, პირველშივე დიდს მისვლა-მოსვლას ნდომულობს, დიდს გარჯას, დიდს თვალის ტრიალს და გონების გაშლას.

თუ მართლა ასე აუცილებელია პირველშივე საჭირო კაცთა სავსებით მოწვევა, რა ფული უნდა გაუძღვეს იმათს ჯამაგირს და გასამრჯელოს? საიდამ და როგორ უნდა მოინაცვლოს ხელი „კავშირმა“ ამისათვის? საკმაოა ის წევრთა შემოსატანი, რომელიც პირველ ორ მუხლში დანიშნული?

ჩვენ ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

*) იხ. „ივერია“ № 256.

# ახალი ამბავი

*** დღეს დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა „მადამ სან-ჟენ“. ეს პიესა ძლიერ სასიამოვნო სანახავია, დაწერილია სცენის ისეთ შესანიშნავ მცოდნეთა-მიერ, როგორიც არიან სარდუ და მორო, შეეხება ისეთ საყურადღებო ეპოქას და ისტორიაში ისეთ შესანიშნავ მოღვაწეს, როგორიც საფრანგეთის დიდი რევოლიუცია და პირველი იმპერია არის და როგორიც დიდი ნაპოლეონია. პიესა ევროპიულს და რუსულს სცენაზე საუკეთესოდ ითვლება; შარშან რამდენჯერმე იქმნა წარმოდგენილი ტფილისში ორის რუსულის დასისაგან, დიდად ასიამოვნა ყველა და ალაპარაკა საზოგადოება. ჩვენს სცენაზე ნაპოლეონის როლს ითამაშებს დღეს გ. მესხი, ხოლო კატრინ იუბშეს (მადამ სან-ჟენ) როლს აასრულებს ეფ. მესხის ასული. შედარებითა მოყვარულთათვის საკმაოდ ვრცელი ასპარეზი იშლება. პიესა წარმოდგენილი იქნება ბ-ნ გ. მესხის საბენეფისოდ. ეს გარემოება პიესის ღირსებასთან ერთად, უეჭველია, დიდძალს საზოგადოებას შეჰკრებს დღეს ქართველ თავად-აზნაურთა თეატრის დარბაზში.

*** ტფილისის მეპურეების თავ-გასულობას საზღვარი აღარა აქვს. მარშანდელივით დაიწყეს უკლად სამაგელი პურის ცხობა, რის გამოც მცხოვრებნი დიდს უსიამოვნებაში არიან ჩავარდნილნი. პური უმეტეს ნაწილად ცომია, რაღაც ალაოს სუნი ასდის და მასთან უწმინდურად არის გაკეთებული. ყველა ამის მიზეზად მეპურეები წარსულ წვიმა-ნიაღვრებს ასახელებენ. ნეტა ვიცოდეთ, რა აქვს საერთო ერთის თვის წინად მოსულ ავდარს პურის რიგიანად გამოცხობასთან?!.

*** გაზ. „ნოვ. ობ.“-ეს გაუგონია, რომ ამ მოკლე ხანში ტფილისში მოჰხდება კრება ხარჯის მომკრებ ინსპექტორებისაო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი, თანხმობით რკინის გზის მმართველობის თავმჯდომარე გორჩაკოვისა, ითხოვს წყალ-დიდობისაგან გაფუჭებული გზის შესაკეთებლად ამ წლისათვის 600,000 მ. და მომავალ წლისათვის 1,600,000 მანეთს („ნ. ო.“).

*** მთელი გარეთ-კახეთი მოკლებულია ფოსტის კანტორას: წერილის გასაგზავნად ან მისაღებად ტფილისში ჩამოდიან მცხოვრებნი, რაც ძლიერ სამწუხაროდ მიაჩნია ხალხს. ორ-სამ კვირაობით მოკლებულია ამის მიზეზით მთელი გარეთ-კახეთი ყოველ-გვარ ცნობას; უგაზეთოდ და უჟურნალოდ თვეზე მეტი სხედან ხოლმე. წინად გარეთ-კახეთელებისათვის კაზიანში იყო ფოსტის კონტორა და ამ ორის წლის წინად ესეც გომბორში გადაიტანეს ორიოდე კაცის თხოვნით. როგორც ზემოდაც ვსთქვით, უკანტორობა ძალიან გვაწუხებდა; ეხლა-კი ჩვენდა სასიამოვნოდ ექიმის იაშვილის მეცადინეობით იგრიბება ფული, რომ გახსნან საფოსტო კანტორა შუაგულ გარეთ-კახეთში, სოფ. სართიჭალაში.

*** გუშინ, 28 ნოემბერს, საღამოს 7 1/2 საათზე მატარებლით ტფილისიდამ წავიდნენ ყარსის მომავალ რკინის გზის ლიანდაგის დასათვალიერებლად რუსეთის რკინის გზათა თავმჯდომარე გორჩაკოვი, ამ გზის გამყვანელი ინჟინერი კურცელი და კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ აგრეთვე სხვა ინჟინერები.

*** თელავი: 15-დამ—19 ნოემბრამდე თელავის სამღვდელოების დეპუტატთა კრების სხდომები იყო გამართული, რომელზედაც სამღვდელოებას უნდა გარდაეწყვიტა, რაც შეიძლება მალე გახსნან თელავში პანსიონი იქაურ სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთათვის. რადგანაც ამ საქმის აღსასრულებლად ხარჯი ბევრი სჭირდება სამღვდელოებას და წელს-კი მეტად შევიწროებულნი არიან მოუსავლობისა გამო, ამიტომ უარი სთქვეს პანსიონის გახსნაზე და გარდასწყვიტეს წლიური ხარჯი შესანახად მიეცეს თვითეულს მოწაფეს 9 მან. ხოლო ნახევარ ხარჯზედ 5 მან. და ათი შაური.

## ქალაქის საბჭო.

27 ნოემბერი.

წარსულ კრების ოქმის წაკითხვისათანავე ბ-ნმა ქალაქის მოურავმა თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკმა გამოაცხადა: წარსულს კრებაზე საბჭომ მოგვანდო ქალაქის მკვიდრთაგან ამოგვერჩია კანდიდატები ქალაქის მამულების დასაფასებლად აღმასრულებელ კომისსიის წევრების თანამდებობაზედაო. გამგეობამ ამოარჩია: თავ. ა. ი. ბებუთოვი, გ. გ. ქართველიშვილი და ა. ი. სავანელი.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. ჩვენ მივანდეთ გამგეობას მხოლოდ დაესახელებინა საკანდიდატო კაცები და მერე ჩვენი უფლება იყო კენჭს ვუყრიდით, თუ არა. თქვენ-კი ბრძანებთ, რომ ამ კანდიდატებს კენჭი უეჭველად უნდა ეყაროსო. სხვა არა იყოს-რა, ჯერ ის უნდა გამოვარკვიოთ, დასაფასებელი ძველი ხაჯრი იმათზედ ხომ არა ითვლება-რა.

ქალაქის მოურავი. მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან უმაღლესის მთავრობისაგან ბრძანებაა მოსული, რომლითაც დასაფასებელ ხარჯის ძველს ვალს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მამულები უნდა დაფასებულ იქმნასო, ნათქვამია უმაღლესს ბრძანებაში, არა მისის ფასისამებრ, არამედ შემოსავალის კვალობაზე.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. კანონებში უნდა ჩავიხედოთ და ვნახოთ, საბჭოს აქვს თუ არა უფლება წარსულ სხდომის დადგენილება მეორე კრებაზედვე განახორციელოს ისე რომ, საქალაქო საქმეთა საგუბერნიო [illegible] ჯერ პირველი დადგენილება განხილული არა ჰქონდეს.

ქალაქის მოურავი. ეგ საქმე ჩვენმიერ ადრევე დანახულია. მე შევეკითხე ბ-ნს გუბერნატორს და პასუხად მივიღე, რომ ჩემის მხრით არავითარი დაბრკოლება არ არისო. ახლა როგორ გნებავთ, ამოვირჩიოთ აღმასრულებელ კომისიის თავმჯდომარე იმ სამს შორის, რომლებიც წევრებად იქმნებიან ამორჩეულნი. ამისათვის სამი წესია: ერთი ის, რომ თავმჯდომარეს ადრევე ეყაროს კენჭი ცალკე, მეორე—თავმჯდომარედ ის იქმნას ჩათვლილი, ვინც უფრო მეტს ხმას მიიღებს და მესამე—თვით ბარათებშივე თავმჯდომარე ცალკე იქმნას დასახელებული.

ხმ. შახაზიზოვი. მე მეოთხე წესს გირჩევთ. ჯერ წევრები ამოვირჩიოთ, მერე სამს წევრს კვლავ ყუთები დავუდგათ და ვისაც მეტი ხმა ამოუვიდეს, ის იყოს თავმჯდომარედ კომისიისა.

შემდეგ ბარათებით დასახელებულ იქმნენ შემდეგი კანდიდატები: თავ. ა. ი. ბებუთოვი 32 ხმით, ხმ. შახაზიზოვი—31 ხმ., ელიაზაროვი—19, გ. გ. ქართველიშვილი—15, ა. ს. ბაბოვი—17, ნ. ზ. თუმანოვი—12, ბ-ნნი სავანელი და ბუდღანოვ-ბაღდასაროვი—8, თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ვერმიშევი—4, სააკოვი—2, ხმ. იაკიმოვი—2 და თითო ხმით ნერსესოვი, თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ხანკალამოვი, შერშენკო, ლისიცევი და დ. ზ. ყორღანოვი.

ამათში ცხრა კანდიდატმა უარი განაცხადა კენჭის ყრაზედ. ა. ს. ბაბოვმა გამოაცხადა, რომ თუ საბჭო ღირსად ჩამთვლის და ამომირჩევს აღმასრულებელ კომისიის წევრის თანამდებობაზე, მაშინ თანახმა ვარ უსასყიდლოდ გავწიო შრომა და უარს ვამბობ ეხლავე 1,200 მან. წლიურს ჯამაგირზედაო. ხმ. ბუდღანოვ-ბაღდასაროვმა იგივე გამოაცხადა.

შახ-აზიზოვი. თუ მე ამომირჩევთ და ჩემთან ერთად ისეთს ხმოსნებს, რომლებიც ჯამაგირზე უარს ამბობენ, მეც იძულებული ვიქნები უარი ვსთქვა ჯამაგირზე. ხოლო თუ სხვა წევრები იქმნენ ამორჩეულნი, ჯამაგირის წინააღმდეგი არა ვარ.

აქ რამდენმამე ხმოსანმა და მათ შორის საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ი. ა. თაიროვმა, განაცხადეს, დიდად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, რომ ბაბოვმა და ბუდღანოვ-ბაღდასაროვმა უარი განაცხადეს ჯამაგირზე. ხარჯთ-აღრიცხვა დეფიციტითა გვაქვს შედგენილი და ეს გარემოება რამდენისამე ათასის მანეთით შეღავათს მისცემს ჩვენს ხარჯთ-აღრიცხვასაო.

ა. ფ. ფრიდონოვი. ჩემის აზრით, დიდი უწესოებაა, რომ ხმ. ბაბოვმა და ბუდღანოვ-ბაღდასაროვმა ადრევე განაცხადეს, ჯამაგირზე უარს ვამბობთო. თუ უარის განცხადება უნდოდათ, შემდეგაც შეეძლოთ და ამ თავითვე-კი რეკლამის კეთებაა...

ა. ს. ბაბოვი. რეკლამა, ჩემთვის-კი არა, ბანკის კანტორებისათვის არის საჭირო...

ქალაქის მოურავი ორივეს აჩუმებს.

ა. იოანესიანი. უცნაურია საქციელი ხმ. ბაბოვისა და ბუდღანოვ-ბაღდასაროვისა. არჩევანი ის არჩევანია, რომ ყველანი თანაბარს მდგომარეობაში იყვნენ და უპირატესობა არავისა ჰქონდეს მინიჭებული. იქნება მაგ ხმოსნებზე უფრო გამოსადეგნი არიან იმ ადგილისათვის, რომელზედაც უნდა წევრები ავირჩიოთ. რა მდგომარეობაშია ჩაყენებული თვითეული ჩვენთაგანი? ერთის მხრით გაიძახიან, ქალაქი ღარიბიაო, მეორე ამბობს, მე უსასყიდლოდ გავწევ მაგ შრომასაო, და აბა ეხლა მითხარით, რა გულით უნდა მივიდეს ხმოსანი და შავი კენჭი ჩაუგდოს უსასყიდლოდ შრომის გაწევის მსურველს, თუნდა მეორე კანდიდატი უფრო ღირსეული კაციც იყოს და უფრო მცოდნე და გამოსადეგიც ამ საქმისათვის. ამის გამო ეს არჩევანი უნდა გადავდვათ იმ დრომდე, ვიდრე ქალაქის საპატიო მკვიდრთ შეძლება ექმნებათ თავისის მხრივაც განაცხადონ თავისი აზრი უსასყიდლოდ შრომის შესახებ. იქნება ისინიც დასთანხმდნენ ამ პირობაზედ?!.

რამდენმამე ხმოსანმა განაცხადა, რომ ჩვენ უფულოდ შრომა არ გვინდა, ვინცა ჰშრომობს, იმან ფულიც უნდა აიღოსო, უფულო შრომას მაგდენი სიკეთე არა ექმნება-რაო.

ქალაქის მოურავის წინადადებით

# ფელეტონი

### მეოთხე რეხა.

(მგზავრის წერილები)

### V

რიჟრაჟისას სიცივის სუსხი დილაც ვიგრძენით. ისევ შევსხედით ცხენებზე და გზას გავუდექით. სიცივემ ნაბდები მოგვანახვინა. დადგა ის წამი, როდესაც დედამიწამ, რაც დღისით მზისაგან გუშინ სითბო მიიღო, ღამით მთლად დახარჯა—სივრცეში გაფანტა. ახლა-კი თრთოლით, ცახცახით შეჰყურებს აღმოსავლეთს—ელის ახალ სითბოს, ახალ სიცოცხლეს.

ცისკრის ვარსკვლავი ერმი, ბრჭყვიალ-კაშკაშით ღამის წყვდიადს ელვასაებრ მოედო და განთიადის შარავანდედმა უფსკრულს გასტყორცნა კეკლუც ბუნების ღამის მანდილი. ვარსკვლავებმა მთლად დაკარგეს თავის ბრწყინვალება—ოციოდე აქა იქ ძლივს-ღა ბჟუტავდა. თვალი ვერც-კი შევასწარით, რომ ყველა ვარსკვლავები სანთელივით ჩაქრნენ. მხოლოდ ცისკრის ვარსკვლავი და დარჩა მინაზებული.

საათის ოთხი სრულდება და იქამდე გათენდა, რომ მსხვილად დასტამბულ სტრიქონებს ვარჩევ. აჰა თეთრად გათენდა. მიბინდებული ცისკრის ვარსკვლავიც საცაა გაჰქრება. ფარდა აეხადა მძლავრსა ბუნებას და თვალ-წინ წარმოგვიდგა ხელთ-უქმნელი დეკორაცია თავისის მშვენიერებით!

ვიშ ამ სიტურფეს, დიდ მშვენიერსა სანახაობას! თავზე ჰხურავს მოკრიალე ლაჟვარდის ცის გუმბათი და ფეხთ უგია მწვანედ მობიბინე, ხავერდებრი მინდორ-ველი, დილის ცვარით ნასხურები.

სრულებით გათენდა, მაგრამ ალიონი-კი ჯერ არსად არის.

სოფელმა გაიღვიძა. ნახირი აიშალა. დიდებულ სცენაზე მყუდრო დუმილს მწყობრად მოჰყვა დიდებული კონცერტი: სტვენა-გალობა, ჟივილ ხივილი, ჭიკჭიკ-ჭუკჭუკი, ჟივჟივ-ჟღავილი, ბზუვილ-ჭრიჭინი, შუვილ-ჩხრიალი, შრიალ-ბიბინი, ყივილ კაკანი, ბღავილ-ბღუვილი, ჭრიალ-ღრიალი, ყეფა-კნავილი, ჭყივილ-ჭიხვინი, ყვირილ-ძახილი, მღერა-ღიღინი, სიცილ-ხარხარი, ერთობ, ერთ-ხორც შეხმული, ერთ ჰარმონიად, ერთ საგალობლად გადაქცეული მთელს არე-მარეს მოერთო, სული შთაჰბერა.

ორ საათზე მეტმა დრომ გაიარა მას აქედ, რაც ცისკარი ამოვიდა და ალიონი მხოლოდ ეხლა გამოჩნდა. აგერ აღმოსავლეთს მოეკიდა ალიონის ცეცხლი—დიდი სივრცე მუქად გაწითლდა.

მთის კალთებზე ნამძინარევი ჯანყი მძიმედ, ზლაზვნით აბარგდა, მაღლა მაღლა გასწია, იქ ღრუბლად გარდაიქცა და მთებზე მძინარე ბუმბერაზი ღრუბელნი მუჯლუგუნით დაალვიძა. ასტყდა ალიაქოთი და ფერხულ-ჩაბმული, მთელი გუნდი უშველებელ თეთრ ღრუბლებისა თავშიშველა მთებს სპეტაკ გვირგვინად დაედგა, მერე მძიმე-ძძიმედ, დარბაისლურ ნელის ცურვით, ჰაერი განაპეს და ცის კამარას ფერად-ფერადად მოეფინნენ. აგერ წავიდ-წამოვიდნენ, ნაგლეჯ-ნაგლეჯად ჰაერის ოკეანოს ლურჯ ზვირთებში შეერივნენ და უსამზღვრო სივრცეში სურათოვნად გაიფანტნენ.

ვერ წარმოიდგენთ, რა სანახავს შევესწარით!

სად იყვნენ სად არა, თითქოს უდარაჯესო, უშველებელი, მძიმე ღრუბლები ერთად დაგროვდნენ, გველ-ვეშაპებივით მისცვივდნენ აღმოსავლეთს, მზის სხივები მთლად შთანთქეს, ქვეყნად აღარ გამოუშვეს.

მართლა-და საშინელი ბრძოლა ასტყდა. უზარ-მაზარ ღრუბლებს ამომავალ მზის სხივები შეებნენ, დასძლიეს და იმოდენი ღრუბლები სისხლით შეღებეს—წითლად გაიჟინთნენ.

მშვენიერის ფერადებით დაიხატა ცის კამარა: დედამიწისკენ მზის სხივებმა რომ ვეღარ გამოატანეს, ცის სივრცეში გაინავარდეს, ცეცხლივით მოედვნენ და მზედ გაფანტულ ღრუბელთა ნაპენტებში დაიმსხვრნენ, რის გამოც მთლად ცის გუმბათი, შორს დასავლეთამდე ათას ფერად აჭრელდა..

ცაში მზე იყო, ქვეყნად-კი არა. ასე გასტანა მთელმა საათმა.

ბოლოს ჩვენკენაც გადმოსჩქეფა სიცოცხლის წყარომ. დღის მნათობმა, აღმოსავლეთის ცეცხლის ბორბალმა, უხვად მოჰფინა სიცოცხლით სავსე შვიდ ფერა სხივები.

ყოველი არსება, ამომავალ მზის სხივთა ძალით გაცხოველებული, ერთ ხმად ლხინობდა და სისხლ გამთბარი ძალ-შეკრებილი მზის სხივებსავე შეჰხაროდა, აქებდა და ადიდებდა:

დიდება შენდა მზეო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, დიდება შენდა დიდებულო წყაროვ სითბოსა და სინათლისაო. შენ გვაძლევ დღეს; შენი სითბო აღორთქლავს ზღვა-ოკეანეთა, რათა შეგროვდნენ ღრუბელნი და მოუვლინონ დედამიწას სიცოცხლის მომფენი წვიმა; შენ აღივებ და აჯეჯლებ დათესილ მარცვალს; შენ ჰხრდი მცენარეს, ააყვავილებ და გამოიწვევ ნაყოფს, ამწიფებ ხილს; შენ ანადგურებ, ადნობ ზამთრის თოვლს—თოვლის ზვინებს და მწვანით ჰმოსავ, ყვავილებით ჰქარგავ მინდორ-ველ, ჭალა-ღელეებს. შენ აყვითლებ ოქროს ფერად ჩვენ მსაზრდოებელ ყანებს და ამწიფებ გულის მომლხენ ყურძნის მტევნებს, უშენოდ ჩვენ ჩავცვივდებოდით საუკუნო წყვდიადში და შევიმოსებოდით სიკვდილის მომფენ ყინვა სიცივით, უშენოდ ყოველივე სიცოცხლე მოისპობოდა. გაქრებოდა; ყოველივე ცხოველი და მცენარე და თვით ჩვენც „მეფენი ბუნებისა“, გავწყდებოდით, რადგან საცა სითბო და სინათლე არ არის, იქ სიცოცხლე ყოვლად შეუძლებელია. მაშ მზისკენ, ბატონებო, მზისკენ!

მზისკენ შენ მდიდარო, პალატებში ფუფუნებით გაყვითლებულო! მზისკენ, შენ ღატაკო, სარდაფებში მიკრობებით დამპალო!

(შემდეგი იქნება).

არჩევანებამდე ერთი საქმეც განიხილა საბჭომ ქალაქის საიჯარადრო მიწების გასყიდვის შესახებ ავლაბარში, რომელი საქმეც გადადებულ იქმნა და გამგეობას მიენდო ადგილობრივ გასინჯოს ის მიწები და შემდეგ საბჭო შეუდგა არჩევანს. კენჭი უყარეს ცხრა კანდიდატს. თავ. ა. ი. ბებუთოვს ამოუვიდა 45 თ.—18 შ., ხმ. შაჰაზიზოვს 44 თ.— 18 შ., ხმ. ელიაზაროვს 38 თ.—24 შ., გ. გ. ქართველიშვილს 21 თ.—42 შ., ა. ს. ბაბოვს 20 თ.—42 შ., სავანელს 14 თ.—49 შ., ხმ. ბუდანოვ-ბალდასაროვს 15 თ.—47 შ., სააკოვს 11 თ.—52 შ., ხმ. იაკიმოვს 19 თ.—44 შ.

ამ გვარად დაფასების აღმასრულებელ კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ თავ. ა. ი. ბებუთოვი, ხმ. შაჰ-აზიზოვი და ხმ. ელიაზაროვი.

დასასრულ, რაკი ორმა უკანასკნელმა წევრმა თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადეს, საბჭომ კენჭის ყრილად თავმჯდომარედ ამოირჩია თავ. ბებუთოვი.

## საქართველოს თავადნი.

თავადნი ავალიშვილნი. საქართველოს მეფის როსტომის გუჯარში 1648 წლისა არსენი ავალერდელი და ძმანი მისნი: აბელი, დავითი, ქაიხოსრო და ღონენაავალ..შვილნი თავადად იწოდებიან.

თავად ავალიშვილთა გვარეულობა კახეთის თავადთა სიაშია მოხსენებული, რომელიც 1783 წელს ქართველთა მეფის ერეკლე II-მიერ რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს დართული.

სახელმწიფოს საბჭოს განაჩენით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია 7 მარტს 1826 წ., აღნიშნულნი არიან V გვარეულობათა წიგნში: 1) სტატსკი სოვეტნიკი გიორგი ივანეს ძე; 2) დიმიტრი გივის ძე და შვილნი მისნი: ივანე, იოსები, ნიკოლოზი, ზურაბი, გივი და გიორგი; 3) გიორგი დავითის ძე და შვილნი მისნი: დავით და იოანე; 4) ზაქარია და ივანე სოლომონის ძენი; 5) ნადვორნი სოვეტნიკი იოსებ ივანეს ძე და 6) ალექსანდრე რომანოზის ძე ავალიშვილნი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 9 აგვისტოს 1850 წ., 20 აპრილს 1851 წ., 10 ნოემბერს 1852 წ., 27 აპრილს 1855 წ., 27 მარტს 1857 წ., 1 აპრილს 1859 წ., 7 ივნისს 1867 წ. და 21 მარტს 1872 წ. ამ გვარს შეუერთდნენ: 1) სვიმონ, დიმიტრი და დავით ივანეს ძენი: 2) გიორგი დავითის ძე და შვილი მისი დავით; 3) გიორგი ზაქარიას ძე; 4) გიორგი ალექსანდრეს ძე; 5) ივანე ნიკოლოზის ძე და 6) ილია ზაქარიას ძე ავალიშვილნი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

როგორცა სჩანს, ინგლისის ჟურნალ-გაზეთობას აზრადა აქვს სრულიად არ მისცეს მოსვენება ფადიშაჰს. ოსმალეთის განაწილების პროექტისა და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისა გარდა, რომლითაც ოსმალეთს ემუქრება ინგლისი, ლონდონის უფრო ცნობილი გაზეთები ურჩევენ აბდულ-ჰამიდს ოსმალეთში კონსტიტუცია შემოიღოს და თუ ეს არ იქმნება აღსრულებული ტახტიდამ გადმოგდებას ემუქრებიან. „სტანდარდი“ ამბობს:

დღევანდელი უძლური დესპოტიზმი პარლამენტალურ მმართველობაზე უნდა იქმნას შეცვლილი, თუნდაც ეს ცვლილება თან-და-თანობითა და ჯეროვანის სიფრთხილით მოხდესო. უნდა გამოძიებნოს ისეთი საშუალება, რომ ოტტომანის იმპერიის ყველა ეროვნებას და ყველა სარწმუნოების აღმსარებელს ხალხს შეეძლოს თავისი სურვილი გამოსთქვას, თავისი გაჭირვება აუწყოს მთავრობას და შეეძლოს თავისს საქმეთა შესახებ მსჯელობა იქონიოსო. ასეთი ეროვნული და სარწმუნოებრივი სხვა-და-სხვაობა სხვა სახელმწიფოებშიაც არსებობს, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის, რომ ეს ერნი ერთმანეთში მეგობრულად სცხოვრობდნენ, საზოგადო არჩევანებში მონაწილეობა მიიღონ და თავისი წარმომადგენელნი იყოლიონო. ამ რიგად რომ იყოს ოსმალეთში საქმე მოწყობილი, მაშინ ყველა იძულებული იქნება ერთურთს პატივისცემით მოეპყრნენ და ერთურთის რწმენა და ეროვნება არ შელახონო. თუ რომ სულთანი ისურვებს და თავისის უფლების ერთს ნაწილს ხალხს დაუთმობს, მაშინ ამითი ფეხს მოიმაგრებს, თავისს გარემოებას გააუმჯობესებს, ხოლო თუ უარს იტყვის, მაშინ ამ რეფორმის მოხდენა სხვას მიენდობაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ამერიკელები საქმიანი კაცები არიან მეცნიერების გამონაკვლევს მაშინვე ხელს ჩასჭიდებენ ხოლმე, აცა იქნება რაშიმე გამოვიყენოთო და აზრი საქმედ ვაქციოთო. ხომ მოგეხსენებათ, რა არის ფონოგრაფი. იგი იმისთანა მანქანაა, რომელიც სიტყვა-სიტყვით ჩაირჩენს ადამიანის ნათქვამს და სიტყვა-სიტყვითვე გაიმეორებს, თითქო მისი მთქმელი ჰლაპარაკობსო, ხმაც-კი ემზგავსება ხოლმე, არამც-თუ მარტო სიტყვა.

ამერიკელებს ეს ფონოგრაფი სწავლისათვისაც-კი შეუფერებიათ. პროფესსორის ლექციების დროს ფონოგრაფს თურმე სდგმენ უნივერსიტეტის აუდიტორიაში და მერე ფონოგრაფი იმეორებს სიტყვა-სიტყვით პროფესსორის ლექციას და იქაური სტუდენტები, როცა საეგზამენიოდ ემზადებიან და გახსენება სჭირიათ პროფესსორის ნათქვამისა რისამე, მაშინვე ფონოგრაფს აალაპარაკებენ ხოლმე. აქ დაუჯერებელი არა არის-რა, რადგანაც ფონოგრაფი ეხლა დიდს სავალშია და ტფილისელებსაც ჰქონიათ არა ერთი შემთხვევა ამის უნარის ნახვისა და მოსმენისა. ხოლო ის იქნება უცნაური ამბავი, თუ რომ ფონოგრაფი მართლა ლექციებს მიუყენეს. მაშინ შესაძლო იქნება თქვენ ტფილისში ბძანდებოდეთ და მოისმინოთ ლექცია თუნდ ამერიკის სახელოვან პროფესსორისა, ოღონდ-კი დაიბარეთ მის ლექციაზე ჩოფილი ფონოგრაფი. ბევრს პროფესსორსაც ავ-გუნებად გახდის ამისთანა ამბავი, რადგანაც იგი მეტი-ღა იქნება: საკმაოა ერთხელ ჩასძახოს თავისი ლექცია ფონოგრაფს და მას შემდეგ თუნდაც ხმა აღარ ამოიღოს, ან სხვა საქმეს დაადგეს და მის მაგიერობას ფონოგრაფი გასწევს. არც სტუდენტებს მოუნდებათ უნივერსიტეტში სიარული. თავის მაგიერად ფონოგრაფს გაჰგზავნის აუდიტორიაში და იგი სიტყვა-სიტყვით თავიდამ ბოლომდე უკლებლივ განუმეორებს სახლში მთელს ლექციას პროფესსორისას. (ვ. ი. ლ.).

— ვინც იცის, რა რიგად უყვარს დედათა სქესს სუნნელებანი და რა სიხარბით ჰხმარობენ სასიამოვნო სასუნებლებს, იმას გაუკვირდება, რომ დედათა სქესს ყნოსვა თურმე ნაკლებადა აქვს, ვიდრე მამა-კაცებს. დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერთ ნიკოლლიია-ს და ბროუნს გამოუძიებიათ და ამტკიცებენ ლომბროზოსაგან ადრევე გამოთქმულს აზრს, რომ მშვენიერს ნახევარს კაცობრიობისას ყნოსვა უფრო სუსტი აქვს, ვიდრე მის არა-მშვენიერს მეორე ნახევარსა. ხსენებულ მეცნიერთ ეს უსინჯავთ 33 მანდილოსანზე და 44 მამა-კაცზე და გამოსულა, რომ საცა მანდილოსნებს სუნი არ უგრძვნიათ, იქ მამა-კაცებს სუნი სცემიათ. ორთა შუა რიცხვით ყნოსვა მამა-კაცთ ერთი-ორად უფრო ძლიერი აქვთ თურმე, ვიდრე დედაკაცებს. მაგრამაო, უმატებს იგი ჟურნალი, საიდამაც ეს ამბავი ამოვწერეთ: ძალიანაც თავს ნუ გავალთ და თავს ნუ მოვიწონებთ ამისთანა ჯობნითაო: ეგ გვანიშნებს, რომ ჩვენ, მამა-კაცნი, ძალიან შორს არ გავცილებივართ პირუტყვებსა, რომელთაც, მაგალითებრ, ძაღლებს, მგლებს და სხვებს, ყნოსვა უფრო მეტად გაძლიერებული აქვთ, ვიდრე მამა-კაცთაო. (ვ. ი. ლ.).

— დიდი ხანია შენიშნულია ერთი უცნაური ამბავი, რომ „პირველნი მოწაფენი“ სასწავლებელში, ყველა მეცნიერებაში ერთნაირად გამარჯვებულნი, ბოლოს, როცა ცხოვრებაში შედიან, არაფერს სახარბიელოს არ წარმოადგენენ ხოლმე და არაფრით სხვაზე მეტ-ნაკლები არ არიან. ისე ჩვეულებრივ შუა-თანა კაცად თუ ჩაითვლებიან, თორემ სხვაფრივ არ იჩენენ არაფრით თავსა. პირიქით ისინი-კი, ვისაც საუკუნოდ სახსენებელი მოუხვეჭია თავისის გენიოსობითა, არა-ერთხელ სკოლაში ნაბოლოვარად ცნობილა, როგორც უნიჭო და უგულის ყურო, სრულიად მიუხდომელი და გაუგებარი. ამისი რამდენიმე მაგალითები მოჰყავს ერთს ჟურნალს სახელოვან კაცთა ბიოგრაფიიდამ.

დარვინი, ეს უდიდესი, თავი და თავი მსწავლული ჩვენის საუკუნისა, პატარაობაში ძალიან ცუდად თურმე სწავლობდა, უღონოდ ებრძოდა წიგნებს, ზედ იღლებოდა და ითვლებოდა თუმცა კაი გულის ბაშვად, მაგრამ სრულებით უნიჭოდ. „შენ მარტო ერთი ხალისი გაქვსო, უთქვამს ერთხელ მამა მისს—აგიღია თავი და ხოცავ ჩიტებს და დასდევ დასაჭერად თაგვებსაო. შენ შენის ოჯახის და შენის თავისიანობის შე მარცხვენელი იქნებიო“. ეგზამენიებს დაიჭერდა ხოლმე რის ყოფით და ვაი-ვაგლახითა‘ „დავიჭირე! დავიჭირე! დავიჭირე!—სწერდა ერთხელ თავისს მეგობარს: ისე მიხარიან ეს ამბავი, რომ ლამის მთელი ერთი თაბახი სულ ამ მშვენიერის სიტყვით ავაჭრელოვო! „დარვინს რამდენჯერმე უცვლია სკოლა, ხან სად გადასულა, ხან სად. ხან სდომებია მკურნალად გამოსვლა, ხან პასტორად და დასასრულ არც ერთისა და არც მეორისათვის ვერ მომზადებულა: სულ ბოლოს-კი რა კაცი დადგა: მთელის კაცობრიობის მსოფლ-მხედველობა მოატრიალა და ახალს საწყლეში ჩააყენა.

ალექსანდრე ჰუმბოლტი—ეს „არისტოტელი მეცხრამეტე საუკუნისა“, ერთნაირად სახელოვანი როგორც თავისის ცოდნის სიდიდით, ისეც ბრწყინვალე მკვლევარობის სიღრმითა, სკოლაში მიჩნეული იყო სწავლისათვის სულ მთლად უნიჭო ბაშვად. ნათესავებმა ყოველივე იმედი დაჰკარგეს, ყური აღარ ათხოვეს, სულ ერთია „ამისაგავ არა გამოვა-რაო“.

ლაიელი, რომელმაც გეოლოგია თავდაპირველად სამეცნიერო ფეხზე დააყენა, გამოურკვია მართალი გზა და მიანიჭა სახელმძღვანელო დედა-აზრნი, გულის ამღვრევით და ზიზღით იხსენიებს სკოლას. სწავლა მეტად უძნელდებოდა, წიგნებზე ჩაეძინდაებო თურმე და მარტო თავ-მოყვარეობა აძალებდა ყოველი ღონე ეხმარა, რომ საჩუქარი და ჯილდო მიეღო სწავლაში.

ლიბიხი, რომელმაც დააფუძნა აგრონომიული ქიმია და სოფლის მეურნეობის მეცნიერება მაგარს ნიადაგზე დააყენა, გიმნაზიაში უკანასკნელი შეგირდი ყოფილა და შემდეგ მრავალის დასჯისა, დარიგებისა და ხვეწნისა გამოგდებულ იქმნა. მამამ, რომელსაც ყოველივე იმედი გადუწყდა, აიღო და აფთექაში მიაბარა. აქაც უნიჭობა შესწამეს და გამოაგდეს.

რა თქმა უნდა, ამისი წინააღმდეგი მაგალითებიც მოიპოვება. მაგალითებრ, სახელოვანი კიუვიე პატარაობითვე პირველი იყო ყველგან, საცა-კი უსწავლია. ამის მიზეზად იმას ამბობენ, რომ საოცარი მეხსიერება ჰქონდა და მასთან ძლიერი თავ-მოყვარეობა, რომელიც აძალებდა ყოველივე ღონე ეხმარა, რომ სხვაზე წინ ყოფილიყო. დარვინს ეს თავ-მოყვარეობა არა ჰქონია და მაინც ამ საუკუნის უდიდეს მსწავლულად შეიქმნა: მეცნიერების წმინდა სიყვარულმა და ჭეშმარიტების წყურვილმა თავ-მოყვარეობის მაგიერობა გაუწიაო.

რით აიხსნება ეს უცნაური მაგალითები? მით, რომ ცოცხალი, ჭკუიანი, ნიჭიანი ბაშვი ერთნაირად ვერ მიეცემა, ერთნაირად გულს ვერ დაუდებს ყოველს იმას, რასაც ბძანებს სკოლის პროგრამმა. მას უსათუოდ ერთი რამ გაიტაცებს, რომელიმე შტო ცოდნისა მიიზიდავს, იმისთანას, რომელიც სკოლის პროგრამმაში არც-კია ხოლმე. დარვინს, ჰუმბოლტს, ლიბიხს, ლაიელს პატარაობითვე ჰყვარებიათ ბუნება და მისი მეტყველება. დარვინს ჯერ ბაშვობაში უგროვებია კოლლექციები, თვალი უდევნებია პირუტყვთა და მცენარეთა თვისებათათვის. ლიბიხი შვიდის წლისა ყოფილა, რომ გულის-ყური ქიმიისათვის მიუქცევია, გადაუკითხავს ყველა წიგნი, რაც-კი ქიმიას შეეხებოდა და მოიპოვებოდა შტუდგარტის წიგნთ-საცავში. ჰუმბოლტს პატარაობითვე შეჰყვარებია ბუნების-მეტყველება ასე, რომ „აფთექარს“ თურმე ეძახდნენ, ვითარცა სასაცილო სახელს. ლაიელი გიმნაზიაში რომ შესულა, ბუნების-მეტყველება სცოდნია და ძალიან ჰყვარებია.

საქმე ის არის, რომ სკოლა ამისთანა თვისებას და გულის-ყურის მიმართულებას ბაშვისას ყურს არ ათხოვებდა, არაფრად აგდებდა და იმის მაგიერ, რომ ამისთანა ხალისს ბაშვისას უწინამძღვროს, ხელი შეუწყოს, იგი ხელში აჩეჩებდა ვირგილიის ეკლოგებსა და რასაკვირველია, რომ ბოლოს ეს სახელოვანნი მსწავლულნი გასტიროდნენ ტყუილად დაკარგულს დროს სკოლაში.

არც დღეს არის შორს წასული ჩვენი სკოლები ამ მხრით. დღესაც ისე არიან იგინი აგებულნი და მიმართულნი, რომ ბაშვის თვისება და სკოლა ერთმანეთზე შორს არიან. სკოლა ისე ეპყრობა ბაშვს, თითქო ყველანი ერთს ყალიბზე იყვნენ ჩამოსხმულნი და მათ შორის სხვა-და-სხვაობა არ იყოს, განსაკუთრებულ თვითოობისაგან და თვისებისაგან წარმომდგარი. ბუნება თვითეულის ცალკე ბაშვისა, მისი სულთა-სწრაფვა, მისი ბუნებური მიდრეკილება ჯერ სახეში არა აქვს მიღებული სკოლას და, რასაკვირველია, რომ დარვინისთანა და ჰუმბოლტისთანა ბაშვები ეურჩებიან სკოლას, რომელიც ხელს არ უწყობს მათს წყურვილსა, მათს სულთა-სწრაფვას და იმას, რისთვისაც თვით ბუნებას შეუგულიანებია. (В. И. Л.)

## უცხოეთი

— **საფრანგეთი.** როგორც „ივერიაში“ გვქონდა მოხსენებული, სულიგუ დააპატიმრეს. ეხლა გამომჟღავნდა, რომ ის ცოლს გაუცია. მას ერთი გაზეთის თანამშრომლისთვის გადაუცია თავისი ქმრის ქაღალდები. როგორც თვითონ ამბობს, მიზეზი ამისა ქმარზე ეჭვიანობა ყოფილა. როდესაც გაზეთმა დაიწყო ქაღალდების შინაარსის გამომჟღავნება, მაშინ-კი სულიგუს ცოლი მივიდა რედაქციაში და სთხოვა უკანვე დამიბრუნეთ ქაღალდები, რადგანაც ქმარს შევურიგდიო; დასამტკიცებლად ამისა წარადგინა სულიგუს მიერ მიცემული 23,200 ფრანკის თამასუქი. რედაქციამ მაინც არ დაუბრუნა ეს ქაღალდები. რაც შეეხება თვით სულიგუს იგი წინანდელივით უარსა-ჰყოფს თავის დანაშაულობას და ამბობს, რომ ჩეკის წიგნი, რომელიც რედაქციას ჩაუვარდა ხელში, შემდეგ არის დაწერილიო. მიუხედავად ამ თავის მართლებისა სულიგუ მაინც დამნაშავედ არის ცნობილი მოწმების ჩვენებით.

— **იტალია.** რომში გაარჩიეს იმ თერთმეტ ბრალდებულთა საქმე, რომელთაც კრისპის მოსაკვლელად შეთქმულობას სწამებდნენ. ყველანი გაამართლეს. საქმის გარჩევამ აღმოაჩინა, რომ არც ერთს ამათგანს არა ჰქონია განზრახვა კრისპი მოეკლათ; არავითარი შეთქმულობა არა ჰქონიათ ამის გამო და ესენი არცა ყოფილან ლიგის თანამოზიარენი, რომელსაც კრისპის მოკვლა უნდოდა. ამასთანავე გაარჩიეს და გაათავეს ის საქმეც, რომელიც გამოწვეული იყო შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის მოკვლის გამო. ბრალდებულნი შვიდნი იყვნენ. ექვსი გაამართლეს, ხოლო დამნაშავედ იცნეს ერთი. მას ჩვიდმეტის წლით და ექვსის თვით ციხე მიუსაჯეს.

სამინისტროს გაზეთები უკმაყოფილებას აცხადებენ იმის შესახებ, რომ სასამართლომ გაამართლა ისინი, რომელთაც კრისპის მოკვლის განზრახვა ჰქონდათ.

## ორი რეცენზიის გამო.

—

„ნოვ. ობოზ.“-ესა და „ტფილის. ლისტ.“-ის რეცენზიები სრულიად არ შეეთანხმა „ივერიის“ აზრს, რომელიც გუშინდელს ნომერში იყო გამოთქმული, თავადის გიორგი შარვაშიძის პიესის შესახებ.

„ნოვ. ობოზ.“-ე ამბობს: „სამწუხაროდ, ნიჭიერს არტისტს ქალს ძალიან მკრთალი როლი ჰქონდა, რის გამოც ვერ შესძლო გამოეჩინა თავისი არტისტული ძალ-ღონე სავსებით“; ხოლო მეორე რუსული გაზეთი უფრო გადაჭრითა სწყვეტს: „...ბოლოს წარმოადგინეს რაღაცა სულელობა, „ცეცხლი უკომლოდ“-ო და შემდეგ იმასავე სწერს არტისტი ქალის შესახებ, რაც აზრი პირველმა რეცენზენტმა წარმოსთქვა.

მართალია, გემოვნების შესახებ დავა შეუძლებელია, რადგანაც ზოგიერთს ანანას მოხარშული გოგრა ურჩევნია! მაგრამ არც ისეთის აზრის გამოთქმა მესმის, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება დამსწრე საზოგადოების შთაბეჭდილებას!

ვინ ამბობს—რეცენზენტი დიაღ დამოუკიდებელი უნდა იყოს და თავისუფლება აზრისა კარგი საქონელია, მაგრამ ამ რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დამსახურებელი სახელი „ხელოვნების დამფასებლისა“, იმისი ერთი ჰო ათასის არაზედ უნდა ფასდებოდეს და მაშინ, რასაკვირველია, სავალდებულო არის ასეთს ექსპერტს ანგარიში გაუწიო!

მაგრამ, როდესაც რეცენზენტი იმგვარივე მომაკვდავი არსებაა, როგორც თეატრის საზოგადოება, მაშინ გაუგებარია, რატომ მოხდება, რომ რეცენზენტი ერთსა სწერს, და საზოგადოება-კი სულ სხვასა ჰგრძნობს?!

ასეთი უთანხმოება საზოგადო აზრისა რეცენზენტის აზრთან დიდი სამწუხაროა, მაგრამ არა საზოგადოებისათვის, არამედ თვითონ რეცენზენტთათვის.

თავადის გიორგი შარვაშიძის „ცეცხლი უკომლოდ“, ჩემის აზრით, ისეთი ხელოვნურად და ლამაზად აკინძული შემთხვევა არის, რომელსაც თავიდამ ბოლომდის ინტერესით უყურებთ, სიამოვნებთ. „ცეცხლი უკომლოდ უცხო სურნელოვან, ლამაზ ყვავილს მოგაგონებთ, რომელსაც ნაზი და ფაქიზი მოვლა უნდა, რომ უხეირო შეხებით ფოთლები არ გაუფუჭოთ.

ვინც პიესისაგან კუჭის გასაძღომ მასალას ეძებს და თეატრისაგან თხოულობს უთუოდ „სამოქალაქო მოტივსა და ვარამს“, მას გიორგი შარვაშიძის „დრამატიული სურათი“ ვერ დააკმაყოფილებს, რადგანაც ინტრიგა პიესისა ძველის-ძველია, თუმცა ყოველთვის თვით საგანი—სიყვარული და სიყვარულის განუყრელი თანამგზავრი—იჭვი მუდამ ახალია.

მართალია „ცეცხლში უკომლოდ“ ბ-ნს ეფემია მესხის ასულს არ შეეძლო სავსებით გამოეჩინა თავისი ნიჭი და მხოლოდ ელვასავით გამოკრთებოდა არტისტის ქალის ძლიერება

მაგრამ ეს მსახიობი პირველის დანახვისათანავე გაგრძნობინებთ, რომ თქვენს წინ ცოცხალი ადამიანი სდგას, რომელსაც სრულიად არა სჭირია რაიმე ხელოვნება მოიწვიოს ძლიერის შთაბეჭდილების მოსახდენად და რომლისთვისაც უფალს ნამდვილი გრძნობა მიუმადლებია. ამას დაუმატეთ ჩინებული ხმა, მიმოხვრა, კილო და თქვენ თვალ-წინ დაისახება ეს არტისტი ქალი.

ლაპარაკით, თუ წერით საეჭვო არის, რომ შესაძლებელი იყოს სავსებით გამოითქვას ღირსება, ანუ ნაკლულევანება მსახიობისა. ამისათვის საჭიროა ნახვა და არტისტთან ერთად გამოვლა იმ წამებისა, რომლითაც სცოცხლობს იგი სცენაზე! თუ არტისტის სიტყვები გულს გხვდებათ, თუ მასთან ერთად სტირით და იტანჯებით—და ამ საღამოს არა ერთი თვალი იყო აცრემლებული წარმოდგენის დროს—თუ მისი მხიარულება თქვენც გულზე სინათლეს მოგფენთ და გავიწყდებათ, რომ აქ წარმოდგენაკი არა თვით ნამდვილი ცხოვრებაა— მაშინ ასეთი მსახიობი საყვარელი და დაუფასებელია. ბ-ნმა ეფემია მესხის ასულმა სწორედ მასთან ერთად გამოგვარონინა ყველა ის მწუხარება და ტანჯვა, რომელიც უნდა ჰქონებოდა სრულიად უდანაშაულო ცოლს თავისს საყვარელის მეუღლის წინაშე.

მაგიერად რა ზომამდე ბედნიერების გრძნობა და კმაყოფილება გადმოგვცა ამ არტისტმა ქალმა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ცეზარინა უმანკო არის!

საზოგადოება უეჭველია დიდად მადლობელი და ესტეტიკურად ნასიამოვნები წავიდა თეატრიდამ და-ძმა მესხთა ჭეშმარიტის არტისტულის თამაშით.

საგულისხმოა, რომ ქართველი საზოგადოების გულ-გრილობას სძლევს ასეთი შეხავებული და ჩინებული თამაში ჩვენის დრამატიულის დასისა და ქართული თეატრი შეიქნება ნამდვილ მოთხოვნილებად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 ნოემბერი.

**ბაქო.** სამხედრო სამართალმა გაარჩია საქმე ექვსის კაცისა, რომელთაც ძარცვა და ყაჩაღობა ჰბრალდებოდათ. ხუთს ამათგანს ჩამოხრჩობა გარდუწყვიტა.

**ბერლინი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, იანვარში აქ უნდა მოვიდეს კორეს საელჩო, რომელშიაც მემკვიდრე პრინციც იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი, მისის თხოვნისამებრ, სამსახურიდამ დათხოვნილ იქმნა. მინისტრმა 1-ლ ხარისხის წითელი არწივის ორდენი მიიღო. შინაგან საქმეთა მინისტრად სახელმწიფო პრეზიდენტი ფონ-დერრეკკე იქმნა დანიშნული.

**კონსტანტინოპოლი.** ყველა ელჩებმა კვლავ მიიღეს ჩვენებანი, მოითხოვონ მეორე სტაციონერები დარდანელში შეუშვან. ამ საგნის გამო ელჩებს ახალის ნაბიჯის წინ წადგმა მალელით.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ნოემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდველისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 207½ |
| 4½°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | 100 | — „ | — „ |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | — „ | 101 | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. . | — „ | 99½ | — „ |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 101 | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა . | — „ | 99 | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 97¾ | — „ |

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1468)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—55).

გამოვიდა და ისყიდება
«მოსე ხონელი და მისი ამირან დარეჯანიანი»
წერილი მ. ჯანაშვილისა.
(60 გვ.. ფასი 10 კაპ.)

„წერა-კითხვის საზოგადოების"
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | » |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . | „ | 70 |
| მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე. . . . . . . | | 10 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჴყონიასი . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა . . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | » | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| Ш вып. . . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | » | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе . . . . . . . | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновителя Ѳ. Жорданія . . | | 30 |

დამზღვევი საზოგადოება
## „იკორი"
(დ უ ზ ა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსაღების საქონლისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—»)

## „ივერია"

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція ,,ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარეღვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.